



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბახვისწყალი

ბახვისწყალი, მდინარე დას. საქართველოში, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სუფსის მარცხ. შენაკადი (ერთვის სოფ. ნაგომართან). სიგრძე 42 კმ. აუზის ფართ. 156 კმ<sup>2</sup>. სათავე აქვს მესხეთის ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე, 2585 მ სიმაღლეზე. ჩამოედის კურორტ ბახმაროს. ერთვის 90-ზე მეტი პატარა შენაკადი. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე (უდიდესი დონე და ხარჯი მაისში), წყალმცირეა ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომის დასაწყისში (უმცირესი დონე და ხარჯი აგვ-ში). საშ. წლ. ხარჯი 6,18 მ<sup>3</sup>/წმ.

**ი. აფხაზავა**

---